საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2011 წლის 26 ივნისს
№703 დადგენილებით
მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2013 წლის
დადგენილებით

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი – 040752
Railway Power Plant Electrician
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. პროფესიული პროგრამის სახელწოდება: **რკინიგზის ელექტრომომარაგების შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსი.**

II. პროფესიული განათლების საფეხური: **მესამე**

III. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომე–ქანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. **პროგრამის მოცულობა:**90 კრედიტი -2250 საათი(1 კრედიტი – 25 სთ).
აქედან: 54 კრედიტი (1350 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის: 36 კრედიტი (900 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის.
(საკონტაქტო საათი –570; დამოუკიდებელი – 620: შუალედური/დასკვნითი საათები–120/40);

V. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;

VI. **პროფესიული პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია მოამზადოს მესამე საფეხურის რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი, რომელსაც რკინიგზის ელექტრომომარაგების საწარმოებში (წევის ქვესადგურებში, საკონტაქტო ქსელის რაიონებში, ენერგომომარაგების სამმართველოების სარემონტო-სარევიზიო სახელოსნოებში და ელექტროქსელებში) შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე უნარების ფართო სპექტრი და გარკვეული დამოუკიდებლობით წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის მიხედვით შეასრულოს საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები, მიღებული კვალიფიკაციისა და კომპენტენციის საფუძველზე ინსტრუმენტების და მასალების გამოყენებით.

VII. **სწავლის შედეგი:**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	იცის: წევის ქვესადგურის ელექტრომოწყობილობების ელექტრული და სამონტაჟო სქემები, ელექტრომოწ–ყობილობის დასახელება და დანიშნულება; გამანაწი–ლებელი მოწყობილობები; წევის ქვესადგურებზე გამოყენებული სამაგრი დეტალების. არმატურის, სადენთა და კაბელთა მარკების ძირითადი სახეობები; მომსახურეობას დაქვემდებარებული ძირითადი მოწყო–ბილობების დაზიანების ან ნორმალური მდგომარეობიდან გადახრის ნიშნები და მათი აღმოფხვრის მეთოდები; საკონტაქტო ქსელის და ელექტრომომარაგების სხვა მოწყობილობების კვების და და სექციების სქემები; დენგამტარ ნაწილებამდე საიზოლაციო მანძილები; სადენთა შეპირაპირების და დამაგრების მეთოდები და საშუალებები; საკონტაქტო ქსელზე სამუშაოების წარმოებისას შემოსაზღვრის წესი; საკონტაქტო ქსელის შენახვისა და რემონტის წესები

		თავისი კომპეტენციის და მოვალეობების ფარგლებში; სარკინიგზო კავშირგაბმულობის მუშაობის პრინციპი; აცნობიერებს თეორიული, მომზადების დონის და პრაქტიკული უნარ–ჩვევების გაღრმავების აუცილებ–ლობას პროფესიული ზრდისათვის გართულებული ამოცანების შესასრულებლად.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია: გამოიყენოს სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე უნარების ფართო სპექტრი და გარკვეული დამოუკიდებლობით წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის მიხედვით შეასრულოს შემდეგი სამუშაოები: წევის ქვესადგურის ტუმბოების, ამომრთველების, კონტაქტორების და სხვა აპარატურის დაშლა და აწყობა; ზეთის გაფილტვრა და სინჯის აღება; სწრაფმომქმედი ავტომატების რკალმქრობი კამერების გადაჩხრეკა მათი ასბესტოცემენტის ტიხარების დამზადებით; ქვესადგურის განათების მონტაჟი; იზოლატორების არმირება; სალტეების, განტოტვების, გადაერთებების დამზადება და გადაღუნვა; სადენების და კაბელების, ამომრთველების ლითონის კონსტრუქციების, გამანაწილებელი მოწყობილობების კამერების შეღებვა; საკონტაქტო ქსელის, საყრდენებზე ჩამოკიდებული მაღალი ძაბვის ხაზების, მასზე მიერთებული სატრან–სფორმატორო ქვესადგურების მონტაჟი, დემონტაჟი, დათვალიერება, აზომვა, მდგომარეობის შემოწმება და რემონტი; საყრდენების დადგმა; ელექტროსარემონტო სამუშაოების შესრულება სიმაღლეზე, მოხსნილი ძაბვით, იმ ნაწილებთან ახლოს რომლებიც იმყოფება ძაბვის ქვეშ მატარებელთა მოძრაობის შეუწყვეტლად ან დროით რეგლამენტირებულ შესვენებისას; მალების სიგრძის გაზომვა; სამუშაოს ადგილის შემოღობვა სადგურებზე და გადასარბენებზე; საშუალო დაანკერების გვარლების დამზადება; აღდგენითი სამუშაოების შესრულება სხვადასხვა ატმოსფერულ პირობებში; დროებითი სიგნალების დაყენება საკონტაქტო ქსელის საყრდენებზე.
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი	შეუძლია: განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად სილაბუსებში მითითებული ლიტე–რატურით სარგებლობა, ინფორმაციის შეფასება და ანალიზი რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას რაიმე დეტალის (ელემენტის) შეკეთების ან შეცვლის შესახებ.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმა–ციო და საკომუნიკაციო ტექ–ნოლოგიებს, შეუძლია უცხოუ–რი ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია: დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ–ტექნიკურ პერსონალთან პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში; ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს – ტექნიკურ ჟურნალებს, ცნობარებს და ინტერნეტს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება – საჭირო მასალის მოძიება უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება	წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება – დამოუკიდებლად იღრმავებს ცოდნას დამატებით მოძიებული ლიტერატურით.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიულ საქმია–ნობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახა–სიათებელი ღირებულებების შესაბამისად განსხვავებულ სიტუაციებში; იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს; იცნობს უსაფრთხოების წესებს და განუხრელად იცავს მას; პასუხისმგებლობით ეკიდება სამუშაო პროცესს.

VIII. დასაქმების სფერო

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი არის პერსონალი, რომელიც რკინიგზის ელექტრომომარაგების საწარმოებში – წევის ქვესადგურებში, საკონტაქტო ქსელის რაიონებში, ელექტრომომარაგების სამმართველოების სარემონტო-სარევიზიო სახელოსნოებში და ელექტროქსელებში ამონტაჟებს არეგულირებს, ექსპლუატაციას უწევს, არემონტებს დაბალი და მაღალი ძაბვის აპარატურას; დანადგარებს; ელექტროდამცავ, მზომ და საკონტროლო მოწყობილობებს. გარდა ამისა, იგი შეიძლება დასაქმებულ იქნას: სამრეწველო, საქალაქო, სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგების ელექტრიკოსად; ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოებზე მშენებლობებზე; ელექტრომონტიორად ნებისმიერ საწარმოში; საყოფაცხოვრებო ელექტროაპარატურის შეკეთების სახელოსნოებში.

IX. სწავლის შედეგების რუქა

პირველი სემესტრი (30კრედიტი)

№	ს ა გ ნ ე ბ ი	კოდები	ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
			I	II	III	IV	V	VI
1.	ზოგადი მონაცემები სარკი–ნიგზო ტრანსპორტზე	PRGT005	X	X	-	-	X	X
2.	უცხოური ენა (ინგლისური) Elementary I	PREL105	X	X	-	X	X	-
3.	ინფორმაციული ტექნოლოგიები (შესავალი ინფორმატიკაში)I	PRII105	X	X	-	X	X	-
4.	ხაზვის ზოგადი კურსი	PRDC005	X	X	-	-	-	-
5.	ელექტროტექნიკის საფუძვლები	PRFU005	X	X	X	-	-	-
6.	საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები (საწარმოო სწავლება სასწავლო სახელოსნოში)	PRMW005	X	X	-	-	-	X
7	შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების საფუძვლები, ელექტროფი-ცირებულ რკინიგზაზე	PRFR005	X	X	-	-	-	X

მეორე სემესტრი (30კრედიტი)

№	ს ა გ ნ ე ბ ი	კოდები	ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
			I	II	III	IV	V	VI
1.	უცხოური ენა(ინგლისური) Elementary II	PREL205	X	X	-	X	X	-
2.	ინფორმაციული ტექნოლოგიები (ტექსტური რედაქტორი MS word),II	PRII205	X	X	-	X	X	-
3.	მუდმივი დენის წევის ქვესადგურის მოწყობის საფუძვლები(I ნაწილი)	PRTA105	X	X	-	-	X	X
4.	მუდმივი დენის საკონ-ტაქტო ქსელის მოწყობის საფუძვლები(I ნაწილი)	PRGP105	X	X	-	-	X	X
5.	მუდმივი დენის წევის ქვე-სადგურის მოწყობილო-ბების ექსპლუატაციისა და რემონტის საფუძვლები (პრაქტიკა),I	PRGS105	X	X	X	-	-	X
6.	მუდმივი დენის საკონ-ტაქტო ქსელის მოწყობილო-ბების ექსპლუატაციისა და რემონტის საფუძვლები (პრაქტიკა), I	PRGR105	X	X	X	-	-	X

მესამე სემესტრი (30კრედიტი)

№	ს ა გ ნ ე ბ ი	კოდები	ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
			I	II	III	IV	V	VI
1.	უცხოური ენა(ინგლისური) Elementary III	PREL305	X	X	-	X	X	-
2.	ინფორმაციული ტექნოლოგიები (ელექტრონული ცხრილები MS Excel),III	PRII305	X	X	-	X	X	-
3.	მუდმივი დენის წევის ქვესადგურის მოწყობის საფუძვლები, (II ნაწილი)	PRTA205	X	X	-	-	X	X
4.	მუდმივი დენის საკონ-ტაქტო ქსელის მოწყობის საფუძვლები, (II ნაწილი)	PRGP205	X	X	-	-	X	X
5.	მუდმივი დენის წევის ქვესადგურის მოწყობი-ლობების ექსპლუატაციისა და რემონტის საფუძვლები (პრაქტიკა), II	PRGS205	X	X	X	-	-	X
6.	მუდმივი დენის საკონტაქ-		X	X	X	-	-	X

	ტო ქსელის მოწყობილო-ბების ექსპლუატაციისა და რემონტის საფუძვლები (პრაქტიკა), II	PRGR205						
7.	საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტზე ტექნიკური ექსპლუატაციის წესები და ინსტრუქციები	PRTI005	X	X	-	-	-	X

X. სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა
				საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
				ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
I სემესტრი										
1.	PRGT005	ზოგადი მონაცემები სარკინიგზო ტრანსპორტზე	3	30/–	–	–	–	6/2	37	75
2.	PREL105	უცხოური ენა (ინგლისური Elementary I)	3	–/30	–	–	–	6/2	37	75
3.	PRII105	ინფორმაციული ტექნოლოგიები (შესა-ვალი ინფორმატიკაში)I	3	–/30	–	–	–	6/2	37	75
4.	PRDC005	ხაზვის ზოგადი კურსი	3	–/30	–	–	–	6/2	37	75
5.	PRFU005	ელექტროტექნიკის საფუძვლები	5	30/15	15	–	–	6/2	57	125
6.	PRMW005	საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები (საწარმოო სწავლება სასწავლო სახელოსნოში)	10	_	–	225	–	6/2	17	250
7.	PRFR005	შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების საფუძვლები, ელ–ექტროფიცირებულ რკინიგზაზე	3	30/-	–	–	–	6/2	37	75
		სულ I სემესტრში	**30**	**90/105**	**15**	**225**	**–**	**42/14**	**259**	**750**
II სემესტრი										
1.	PREL205	უცხოური ენა (ინგლისური Elementary II)	3	–/30	–	–	–	6/2	37	75

2.	PRII205	ინფორმაციული ტექნოლოგიები (ტექ–სტური რედაქტორი MS Word), II	3	–/30	–	–	–	6/2	37	75
3.	PRTA105	მუდმივი დენის წევის ქვესადგურის მოწყობის საფუძვლები(I ნაწილი)	5	45/15	-	-	-	6/2	57	125
4.	PRGP105	მუდმივი დენის საკონტაქტო ქსელის მოწყობის საფუძვლები(I ნაწილი)	5	45/15	-	-	-	6/2	57	125
5.	PRGS105	მუდმივი დენის წევის ქვესადგურის მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის საფუძვლები (პრაქტიკა),I	7	_	–	75	75	6/2	17	175
6.	PRGR105	მუდმივი დენის საკონტაქტო ქსელის მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის საფუძვლები (პრაქტიკა),I	7	_	–	75	75	6/2	17	175
		სულ IIIსემესტრში	**30**	**90/90**	**-**	**150**	**150**	**36/12**	**222**	**750**
		III სემესტრი								
1.	PREL305	უცხოური ენა (ინგლისური Elementary III)	2	–/30	–	–	–	6/2	12	50
2.	PRII305	ინფორმაციული ტექნოლოგიები (ელექტრონული ცხრილები MS Excel),III	2	–/30	–	–	–	6/2	12	50
3.	PRTA205	მუდმივი დენის წევის ქვესადგურის მოწყობის საფუძვლები(II ნაწილი)	3	45/15	-	-	-	6/2	7	75
4.	PRGP205	მუდმივი დენის საკონტაქტო ქსელის მოწყობის საფუძვლები(II ნაწილი)	3	30/-	-	-	-	6/2	37	75
5.	PRGS205	მუდმივი დენის წევის ქვესადგურის მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის საფუძვლები (პრაქტიკა),II	8	–	–	75	105	6/2	12	200
6.	PRGR205	მუდმივი დენის საკონტაქტო ქსელის მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის საფუძვლები (პრაქტიკა),II	9	–	–	75	120	6/2	22	225
7.	PRTI005	საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტზე ტექნიკური ექსპლუატაციის წესები და ინსტრუქციები	3	30/-	-	-	-	6/2	37	75
		სულ IIIსემესტრში	**30**	**105/75**	**-**	**150**	**225**	**42/14**	**139**	**750**
სულ			**90**	**555**	**15**	**525**	**375**	**120/40**	**620**	**2250**

<u>**შენიშვნა:**</u>

სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე -18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა:

II შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა:
III შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა:
გამოცდა - 2 სთ. (2 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:
▪ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
▪პრაქტიკულ მეცადინეობას;
▪დამოუკიდებელ მეცადინეობას;
▪სასწავლო პრაქტიკას;
▪საწარმოო პრაქტიკას;
▪გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:
▪(A) – ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
▪(B) – ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81–90%;
▪(C) – კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71–80%;
▪(D) – დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61–70%;
▪(E) – საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:
▪(FX) – ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41–50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
▪(F) – ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.
პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.
პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე, დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

▪შუალედური შეფასება;
▪დასკვნითი გამოცდა

- I შუალედური ტესტირება ტარდება მეშვიდე სასწავლო კვირაში და მოიცავს პირველი ექვსიკვირისმასალას. (20-ქულა)
- II შუალედური ტესტირება ტარდება მეთოთხმეტე სასწავლო კვირაში მოიცავს თორმეტი კვირის მასალას. 20 ქულა
- III შუალედური ტესტირება ტარდება მეთვრამეტე კვირაში და მოიცავს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მასალას 30 ქულა

შეფასების მეთოდი:
▪ტესტი;
▪წერითი დავალება;

ტესტირება - თითოეული ტესტის ვარიანტი შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის შესაბამისად მოიცავს 20 ან 30 კითხვას. ყოველი ერთი სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით

წერითი დავალება - ტარდება ბილეთებით. შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის ბილეთში შესაბამისად შედის ორი ან სამი საკითხი თითოეული 10 ქულიანი.

დემონსტრირება: სამუშაოს დაწყების ორგანიზაცია-30 ქულა, სამუშაოს შესრულება და წარმართვა-40 ქულა, სამუშაოს დასრულების ორგანიზაცია-30 ქულა.

XIII. სწავლების მეთოდები:

- თეორიული სწავლება;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- ლაბორატორიული სამუშაო;
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

	კურსი/მოდული/საგანი	სახელი,გვარი	კვალიფიკაცია
1.	ზოგადი მონაცემები სარკინიგზო ტრანსპორტზე	ჯონდო სანიკიძე ციცინო ბესიაშვილი	ინჟინერ ელექტრომექანიკოსი მიმოსვლის გზათა ინჟინერ ელექტრომექანიკოსი
2.	ხაზვის ზოგადი კურსი	დემონ ჭეიშვილი თამარ ბაღაშვილი	გზათა მიმოსვლის ინჟინერ–ელექტრომექანიკოსი. ინჟინერ–მექანიკოსი, მანქანათმშენებლობის დისციპლინების მასწავლებელი
3.	უცხოური ენა (ინგლისური) Elementary – I,II,III.	ანა ვანიშვილი ნინო ჩოქური	ინგლისური ენისა და ლიტე-რატურის მასწავლებელი ინგლისური ენის მასწავლე–ბელი
4.	ინფორმაციული ტექნოლოგიები (შესავალი სპეციალობაში, ტექსტური რედაქტორი MS Word, ელექტრონული ცხრილები MS Excel),I,II,III	ლუიზა ავთანდილაშვილი ელენე ოქრომელიძე	მათემატიკოსი ეგმ–ის ინჟინერ ელექტრიკოსი
6.	საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები (საწარმოო საწავლება სასწავლო სახელოსნოებში)	კონსტანტინე მჭედლიძე თეიმურაზ აფციაური	ინჟინერ–მეტალურგი ინჟინერ ელექტრომექანიკოსი
7.	შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების საფუძვლები ელექტრიფიცირებულ რკინიგზაზე.	გურამ ხეთაგური	 გზათა მიმოსვლის ინჟინერ–ელექტრომექანიკოსი.
8.	ელექტროტექნიკის საფუძვლები	ჯონდო სანიკიძე ივანე ჯიხვაძე რუსუდან ჯვარშეიშვილი	ინჟინერ ელექტრომექანიკოსი ინჟინერ ელექტრომექანიკოსი ფიზიკოსი
9.	მუდმივი დენის წევის ქვესადგურის მოწყობის საფუძვლები, (I,II ნაწილი)	თენგიზ მაღლაკელიძე ჯონდო სანიკიძე	ინჟინერ ელექტრომექანიკოსი ინჟინერ ელექტრომექანიკოსი
10.	მუდმივი დენის საკონტაქტო ქსელის მოწყობის საფუძვლები, (I,II ნაწილი)	თენგიზ მაღლაკელიძე ჯონდო სანიკიძე	ინჟინერ ელექტრომექანიკოსი ინჟინერ ელექტრომექანიკოსი

11.	მუდმივი დენის წევის ქვესადგურის მოწყობილობების ექსპლუატაციის და რემონტის საფუძვლები (პრაქტიკა I,II)	თენგიზ მაღლაკელიძე ჯონდო სანიკიძე	ინჟინერ ელექტრომექანიკოსი ინჟინერ ელექტრომექანიკოსი
12.	მუდმივი დენის საკონტაქტო ქსელის მოწყობილობების ექსპლუატაციის და რემონტის საფუძვლები (პრაქტიკა I,II)	თენგიზ მაღლაკელიძე ჯონდო სანიკიძე	ინჟინერ ელექტრომექანიკოსი ინჟინერ ელექტრომექანიკოსი
13.	საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუტაცის წესები და ინსტრუქციები	გიორგი დოდელია ლია ჩანადირი	სარკინიგზო ტრანსპორტზე გადაზიდვებისა და მართვის ინჟინერი გადამზიდავის პროექტთა მართვაში მიმოსვ–ლის გზათა ინჟინერი.

XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის პროფესიული სწავლებისთვის განკუთვნილი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:
სახელოსნოები, სტუ–ს I კორპუსი თბილისში, საზეინკლო და ელექტროსამონტაჟო სამუშაოებისთვის საჭირო ხელსაწყო–იარაღები, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პლაკატები, კომპიუტერის და შესაბამისი პროექტორის საშუალებით ელექტრონული ვიდეომასალის დემონსტრირება).

XVI. საწარმოო სწავლება /საწარმოო პრაქტიკა/

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება: სს „საქართველოს რკინიგზას“ საწარმოო ერთეულებში –სს „საქართველოს რკინიგზა“–სთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 09.07.2012წ. #8–2012–4; საწარმოო გაერთიანება „ელექტროვაგონშემკეთებელში“ მემორანდუმი 11.10.2010წ.

XVII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის III საფეხურის პროფესიული პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, გააგრძელოს სწავლა ამავე პროფესიის IV საფეხურის პროგრამაზე.

პროგრამის ხელმძღვანელი — თენგიზ მაღლაკელიძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი — მანანა მოისწრაფიშვილი

ფაკულტეტის დეკანი — ოთარ გელაშვილი

მოდიფიცირებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
ოქმი №1, 20. 09. 2013 წ.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე — ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია
სტუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი — გიორგი ძიძიგური